

AUTO-MOTO CLUB IMERETI

შ ე ჯ ი ბ რ ი ს დ ე ბ უ ლ ე ბ ა

წყვილთა რბოლა

ქ. სამტრედია დასავლეთ საქართველოს თასის გათამაშების I ეტაპი

25.03.2018

სამტრედია 2018

1. შეჯიბრის პროგრამა

25.03.2018

1. მონაწილეთა რეგისტრაცია 10:00–11:00 სთ.
2. სავალდებულო ბრიფინგი 11:30 სთ.
3. კენჭისყრა 11:45სთ.
4. რბოლის სტარტი 12:00სთ.

2. შეჯიბრის ორგანიზატორი, ოფიციალური პირები

შეჯიბრის ორგანიზატორი: AUTO-MOTO CLUB IMERETI

საკონტაქტო პირი: 599 14 37 24 ნიკო

ტელ: 577 34 89 40 ლევანი

ოფიციალური პირები:

შეჯიბრის დირექტორი: გოგი ვაშაყმაძე
უსაფრთხოების კომისარი: ნიკო სვანიძე
ტექ.კომისარი: ნიკო სვანიძე
ლონისძიების დირექტორი: ზურა ვაშაყმაძე
ტრასის ხელმძღვანელი: იულონ ბუცხრიკიძე

4. შეჯიბრის პირობები

- შეჯიბრი ტარდება საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის სპორტული კოდექსის, დასავლეთ საქართველოს თასის გათამაშების I ეტაპი წყვილთა რბოლაში 2018-ისა და ამ დებულების შესაბამისად.
- შეჯიბრება მიზნად ისახავს დასავლეთ საქართველოს თასის გათამაშების I ეტაპში გამარჯვებულების გამოვლენას;
- შეჯიბრისთვის შერჩეულია სპეციალური სარბოლო ტრასა.

- სასტარტო ხაზზე ავტომობილების განლაგება მოხდება კენჭისყრის შედეგების მიხედვით
- მოყვარულებში აკრძალულია სპორტული საბურავი სლიკი და პოლუსლიკი (ნახევრადსპორტული) ყველა ტიპის სპორტული საბურავი, ასევე ავტომობილი რომელიც იქნება არაქარხნულ მდგომარეობაში(დაშლილი-დადუგული) ტექ.კომისრის გადაწყვეტილებით
- მონაწილის მიღწევებიდან ან მისი გამოცდილებიდან გამომდინარე თითოეული მონაწილე გადადის აბსოლუტ კლასში Over All-ში, თითოეული მონაწილე რომელიც საპრიზო ადგილას გავიდა შვიდჯერ, ავტომატურად გადადის აბსოლუტ კლასში, Over All-ში დაშვებულია ყველა ტიპის საბურავი, შეჯიბრის მონაწილეები დაწყვილდებიან კვალიპიკაციის საფუძველზე შეჯიბრის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით.
- რბოლის დროს ორი ავტომობილი დგება ერთმანეთის პარალელურად განთავსებულ სარბოლო ტრასაზე.
- სტარტს იღებს ერთდროულად, გადის ერთსა და იმავე მანძილს, ერთსა და იმავე ტრასაზე.
- თითოეული რბოლა შედგება ორი გარბენისგან, ფრეს შემთხვევაში გამარჯვებულის გამოსავლენად დაემატება ერთი გარბენი.
- თითოეულ გარბენში გამარჯვებულია მონაწილე რომელიც პირველი გადაკვეთს ფინიშის ხაზს.
- მონაწილე რომელიც გარბენზე არ გაივლის სრულად და სწორად სარბოლო გზას, გარბენი ჩათვლება წაგებად.
- ნებისმიერ გარბენზე მონაწილე ვალდებულია გადაკვეთოს ფინიშის ხაზი
- თუ კი ერთი მონაწილე დაეწევა მეორე მონაწილეს ამ შემთხვევაში ავტომობილს რომელიც დაეწია მოწინააღმდეგეს გარბენი ეთვლება მოგებად; * სტარტი: ადგილიდან მომუშავე ძრავით.
- ფინიში: ავტომობილის კორპუსის რომელიმე ნაწილით ფინიშის ხაზის გადაკვეთა (ერთი სრული წრე).
- ფალშსტარტის (ოფიციალური სტარტის მიცემამდე ნებისმიერი სახის მოძრაობის დაწყება) შემთხვევაში მონაწილეები სტარტზე დგებიან თავიდან. გამეორების შემთხვევაში (კონკრეტული მრბოლელის მიერ) გარბენი ითვლება წაგებად.
- შეჯიბრის დღეს, ოფიციალურ სტარტამდე სარბოლო მონაკვეთზე მონაწილეთა ვარჯიში შეჯიბრის ხელმძღვანელის ნებართვის გარეშე აკრძალულია.
- მოცემული დებულებით გათვალისწინებული ნებისმიერი წესის დარღვევის შემთხვევაში მონაწილე მოიხსნება შეჯიბრიდან.

5. მონაწილეები

შეჯიბრზე დაიშვებიან პირები, რომელთაც გააჩნიათ მართვის მოწმობა ან სსსფ-ს მიერ გაცემული მრბოლელის მოქმედი ლიცენზია.

6. უსაფრთხოების ნორმები

მონაწილე პასუხისმგებელია, როგორც ეკიპაჟის წევრის, ასევე მისი წარმომადგენლის, მექანიკოსის და იმ პიროვნების ქმედებებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ მის მონაწილეობას შეჯიბრში.
 მონაწილეს სერვის ზონაში აქვს უფლება იყოლიოს 1 მექანიკოსი (სულ მონაწილე და მექანიკოსი (2 კაცი))

პასუხისმგებლობა მატერიალურ ზარალზე, როგორც მონაწილეების და მათი ქონების მიმართებაში, ასევე მესამე პირთა და მათი ქონების მიმართებაში ევალებათ უშუალოდ დამნაშავე პირებს. ორგანიზატორი ამ პასუხისმგებლობას არ იზიარებს.

7. მონაწილე ავტომობილები

წინა აღმძრავი თვლებით აღჭურვილი ავტომობილები - FWD, უკანა აღმძრავი თვლებით აღჭურვილი ავტომობილები - RWD. ოთხივე აღმძრავი აღჭურვილი ავტომობილები – AWD „აბსოლუტ კლასში Over All“ FWD – RWD – AWD

8. პროტესტები

– პროტესტები მიიღება მონაწილისაგან ან წარმომადგენლისაგან წერილობით მთავარი მსაჯის სახელზე შეჯიბრის დამთავრებიდან 10 წუთის განმავლობაში ფულადი.

9. შედეგების განსაზღვრა

შეჯიბრზე გამარჯვებულები გამოვლინდებიან თითოეულ კლასში დაკავებული პირველი სამი ადგილის მიხედვით.

10. შენიშვნები და განმარტებები

1. საორგანიზაციო კომიტეტს ან შეჯიბრის ხელმძღვანელს ან უსაფრთხოების კომისარს აქვს უფლება დამატებების და ცვლილებების შეტანისა ასპარეზობის რეგლამენტში წინასწარი ან საერთო განცხადების სახით აგრეთვე ოფიციალური ინფორმაციის განცხადების ან გაცემის უფლება.
2. ორგანიზატორს აქვს უფლება გადაიტანოს ან შეწყვიტოს შეჯიბრის მსვლელობა ფორს-მაჟორული პირობების შემთხვევაში და არ აგებს პასუხს არანაირ მიყენებულ მორალურ და მატერიალურ ზარალზე.
3. მონაწილის მიღწევებიდან ან მისი გამოცდილებიდან გამომდინარე შეჯიბრის ხელმძღვანელს (ეტაპის ორგანიზატორთან შეთანხმებით აქვს უფლება არ დაუშვას რომელიმე ჩათვლით ჯგუფში და აუტომატურად გაიდაიყვანოს „აბსოლუტ კლასში Over All“